

საქართველო

საქართველო
საქართველო

საერთო უკრაინული გაზეთი ორშაბათი 16 იანვარი 2006 №7 (2629)

ფასი 50 თეთრი

ნავა ტოპიოლერი ჰამბურგის კვლევა?



ვინ დაიცავს საქართველოს ნაკრების კარს მომავალ შესარჩევ ციკლში? ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით კლაუს ტოპიოლერსაც არ გააჩნია, თუმცა ფეხბურთის ფედერაცია ჩვენი მიზნების შესაფერისი კვალიფიკაციის მეკარეს გამალებით რომ ეძებს, ფაქტია. როგორც შევითქვით, ტოპის ერთ-ერთი კანდიდატი მარტინ პიკენჰაგენია — „ჰამბურგში“ მუშაობისას მის ხელქვეით მოთამაშე გამოცდილი მეკარე, რომელიც დღეს ჰოლანდიური „ჰერაკლესის“ ლირსებას იცავს.

თუ ამ ლოგიკას მივყვებით, ჰერ კლაუსის არჩევანი შესაძლოა შტეფან ვებტერზეც შეჩერდეს. ჰამბურგული კარიერის ოთხი წლის თავზე ვებტერი გუნდის ძირითად მეკარედ იქცა და არც სხვაფრივ ჩამოუვარდება ზემოთ ნახსენებ კოლეგას.

ბუნებრივია, შესაძლო კანდიდატი სხვაც ბევრი იქნება და მათზე წერილს მე-ხუთე გვერდზე იხილავთ.



კლაუს ტოპიოლერს საქართველოში წამოსაყვანად პირველად ალბათ მარტინ პიკენჰაგენი და შტეფან ვებტერი გაახსენდებიან

მნარე ფლავი უზბეკურად

ძველი „დინამოს“ ქომაგებს ეხსომებათ გამოთქმა, ხიე „ფახთაქორს“. ზოგი ამბობდა, გლიჯე „ფახთაქორს“. რა მნიშვნელობა აქვს, ერთიცა და მეორეც ძლიერის სუსტისადმი ირონიულ დამოკიდებულებას გამოხატავდა. მოგვიტყვეთ და, როგორც ხალხში იტყვიან, იყო დრო და მომენტი... გუშინ კი თანამეგობრობის თასზე „ფახთაქორმა“ ხია ანუ გლიჯა „დინამოს“, არადა, ვინდა, არ ვინდა, ეს მარტო „დინამოს“ წაგება არაა. ქართული ფეხბურთი აქ „ნიჩურტას“ ვერ დაიჭერს.

**თბილისის
დინამო
თანამეგობრობას
გადაამდე
დაამეგობრება**



დინამო და დანამოს და დაამთავრა



პაპიაშვილი

გიორგი დემეტრაძე ალანის უბრუნდება საკითხავია, როდემდე?

გიორგი დემეტრაძე დღეს მოსკოვს გაფრინდება, საიდანაც კისლოვოდსკოში მყოფ ვლადიკავკაზის „ალანის“ შეუერთდება და ახალი სეზონისთვის მზადებას თავის გუნდთან ერთად გააგრძელებს. თუმცა ჯერ კიდევ საკითხავია, გიორგი დემეტრაძე დარჩება თუ არა პირველ დივიზიონში დაქვეითებულ გუნდში.

რაძე „ალანიაში“ დარჩება. ვლადიკავკაზისთვის დღესდღეობით ერთადერთი ქართველი იქნება, „ალანიაში“ სხვა ჩვენებურები გუნდისგან შორს არიან — გიორგი შაშიაშვილი ხორვატიის „ჰაიდუკში“, დანარჩენები კი თბილისში და ახალ შეთავაზებებს ელოდებიან.

„ალანია“ ახლა გაკოტრების პირასაა და უახლოეს დღეებში, შესაძლოა, თვითლიკვიდაცია გამოაცხადოს, მის ნაცვლად კი სხვა იურიდიული სუბიექტი შეიქმნას. ასე თუ მოხდება, კლუბისა და ყველა მოთამაშის კონტრაქტი გაუქმებული იქნება და ფეხბურთელებსაც თავისუფლად შეეძლებათ სხვა კლუბებში გადასვლა.

კობა ინასარიძე

გენაკი გორჯოშვილი რჩება

უკვე ვწვდით, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და „ბორჯომის“ ნახევარმცველი რევაზ გეგუაძე ნახალწლევს თურქულ „ტრაბზონსფორში“ აპირებდა გასინჯვაზე გამგზავრებას. ფეხბურთელს გეგუაძის კორექტირება ტრაბზონის გამო მოუხდა — დისკოზმა არათუ თურქეთში გამგზავრება გამოიცილა, რევაზი „ბორჯომთან“ ერთად კვლავ ვარჯიშობს. გეგუაძე საფუძვლიან გამოკვლევას დღეს ჩაიტარებს და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, რამდენი ხნით მოუწევს უქმობა. აქედან გამომდინარე, დიდი შანსია, მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატი რევაზმა „ბორჯომშივე“ ჩამთავროს.

გიორგი ნოზაძე



გეგუაძე

რევაზ გეგუაძე (მარცხნივ) ტრაბზონში შეიჭრა

შაბათს, მოსკოვში რუსეთის ჩემპიონ ცეცხკასა და თბილისის „დინამოს“ მატჩით გაიხსნა ესენგეს ჩემპიონთა ტრადიციული ტურნირი. სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის“ ტრიბუნებზე უჩვეულოდ ბევრი ქომაგი იყო და, მათ შორის, ათასამდე ქართველიც. სამწუხაროდ, საქართველოს ჩემპიონებს ცეცხკას სათადარიგოებთან შეხვედრისას ვერაფრით დაეხმარნენ — ჩვენებმა 0:1 წააგეს. ერთადერთი გოლი მატჩის ბოლოსკენ, 74-ე წუთზე შესვენებაზე შეცვლაზე შესულმა დენის კირილენკომ გაიტანა. მან ქართველების საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და სოსო გრიშჩაკაშვილს აუღებელი დაურტყა.

ჩვენებს ანგარიშის გათანაბრება მალე შეეძლოთ — რეალური საგოლე მომენტი იყო, მაგრამ გიორგი მეგრელაძის ახლოდან დარტყმული ჯერ მეკარე იანაევა მოიგერია, ჯაბა დვალის დამატებული კი მცველმა ზედ კარის ზაზდან გამოიტანა.

— შედეგით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ, თუმცა, მიმჩნია, რომ ფრე უფრო ლოგიკური იქნებოდა. „დინამოს“ რამდენიმე ფეხბურთელმა შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა და ეს არც გამკვირვებია, მოსამზადებელი პერიოდში ხომ სულ ახალი დაწყებულია, ფეხბურთელებს სასურველ ფორმამდე ჯერ ბევრი უკლიათ — თქვა ცეცხკასთან მატჩის შემდეგ „დინამოს“ თავკაცმა კახა ცხადაძემ.

მატჩამდე კი, როგორც ვთქვით, ტურნირი საზეიმოდ გაიხსნა. ქომაგებს ფიფას პრეზიდენტი ზებლატერი, უეფას პრეზიდენტობის კანდიდატი მიშელ პლატინი და რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიტალი მუტკო მიესალმნენ და აღნიშნეს, რომ ტურნირი ნელ-ნელა ძალას იკრებს, მეტ სერიოზულობას იძენს და მომავალში უფრო პრესტიჟული გახდება. „ოლიმპიისკის“ ტაბლოზე კი წინა ტურნირების საუკეთესო ეპიზოდები უჩვენებიათ და ამ ვიდეო-კოლაჟის თითქმის ნახევარი მოსკოვში თბილისის „დინამოს“ მატჩების ამსახველი კადრები იყო, გვიტოვრა „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ...

ცეცხკასთან მატჩისას „დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო: გრიშჩაკაშვილი, ქემოკლია, ორბელიაძე, აკობია (ფირცხალავა 80), ნავალოვსკი, ლ. ნოზაძე, მახარაძე (ჩირიკაშვილი 46), ვ. მერებაშვილი (თომაშვილი 46), ბობოხიძე (ახალაია 65), მეგრელაძე, მელქაძე (დვალაი 65).

გუმინ კი „დინამომ“ ჯგუფში მეორე მატჩი გამართა. ჩვენები „დინამოს“ მანქანა ტაშკენტის „ფახთაქორს“ შეხვედრენ, 1:2 წააგეს და ჯგუფიდან გასვლის შანსიც დაკარგეს. თბილისელებმა მეტოქის ორ გოლს მიხეილ ბობოხიძის კინკლათი უპასუხეს, მეტი კი ვეღარ შეძლეს და ჯგუფის მესამე მატჩს უმოტივაციოდ ხვდებიან.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: სტურუა, ვიგაური, ორბელიაძე, თომაშვილი, ნავალოვსკი (ვ. მერებაშვილი 62), ლ. ნოზაძე, მახარაძე (აკობია 60), ჩირიკაშვილი, მეგრელაძე, ახალაია (ბობოხიძე 46), მელქაძე.

კობა ინასარიძე



მიხეილ ბობოხიძემ (№11) არმიელ მცველებს ვერაფერი დააყო

A ჯგუფი
პირველი ტური

დინამო (საქართველო) 0:1 ცსკა (რუსეთი)
0:1 კირილენკო (74)
ფახთაქორი (უზბეკეთი) 3:0 ტჰმპ (ესტონეთი)
1:0 ტაჯიფი (31), 2:0 ჯეპაროვი (68), 3:0 სიუნოვი (71)
მეორე ტური
ცსკა 1:0 ტჰმპ

1:0 კირილენკო (36)
ფახთაქორი 2:1 დინამო
1:0 პონომაროვი (5), 2:0 სულიევი (58), 2:1 ბობოხიძე (72)

ფახთაქორი (უზბეკეთი) 2 2 0 0 5:1 6
ცსკა (რუსეთი) 2 2 0 0 2:0 6
დინამო (საქართველო) 2 0 0 2 1:3 0
ტჰმპ (ესტონეთი) 2 0 0 2 0:4 0

B ჯგუფი
პირველი ტური

მიტალურსნი (ლატვია) 3:0 ატტოვა (ყაზახეთი)
1:0 ასტრასკასი (6), 2:0 ვარლსონი (37), 3:0 გრებისი (88)
ნავთი (აზერბაიჯანი) 3:0 ვახში (ტაჯიკეთი)
1:0 სუბაშინი (6), 2:0 გაჯიფი (26), 3:0 მიშურა (73)
მეორე ტური
ნავთი 2:1 მიტალურსნი
1:0, 2:0 ადამია (25, 31), 2:1 ივანოვსი (64)

1:0 გოლოვსკოი (57)
ნავთი (აზერბაიჯანი) 2 2 0 0 5:1 6
მეტალურსნი (ლატვია) 2 1 0 1 4:2 3
ატტოვა (ყაზახეთი) 2 1 0 1 1:3 3
ვახში (ტაჯიკეთი) 2 0 0 2 0:4 0

C ჯგუფი
პირველი ტური

შირიფი (მოლდოვა) 3:2 შახტარი (უკრაინა)
0:1 ფომინი (6), 1:1 ეპურიანუ (20), 2:1 ფლორესკუ (26), 3:1 კოროტეცკი (53ს.კ.), 3:2 გაგროში (74)
მიტუ (თურქმენეთი) 2:0 დორდოი (ყირგიზეთი)
1:0, 2:0 კარადანოვი (61, 81)
მეორე ტური
შახტარი 1:0 დორდოი

1:0 სელეზოვი (80)
შირიფი 0:1 მიტუ

0:1 ჩოლიფი (67)
მბბუ (თურქმენეთი) 2 2 0 0 3:0 6
მერიფი (მოლდოვა) 2 1 0 1 3:3 3
შახტარი (უკრაინა) 2 1 0 1 3:3 3
ლორდოი (ყირგიზეთი) 2 0 0 2 0:3 0

D ჯგუფი
პირველი ტური

პიუნეი (სომხეთი) 0:3 პაუნასი (ლიტვა)
0:1 პეტლინი (10), 0:2 პილიბაიტისი (77), 0:3 კუანავიციუსი (79)
რუსეთი (იუნიორთა ნაკრები) 0:3 შახტიორი (ბელარუსი)
0:1, 0:2 კლიმენცო (26, 40), 0:3 ბიჩინოვი (87)
მეორე ტური
შახტიორი 0:2 პიუნეი
0:1 მერტიანი (44), 0:2 ფარაჯიანი (89)
პაუნასი 0:1 რუსეთი

0:1 სამსონოვი (35)
კაუნასი (ლიტვა) 2 1 0 1 3:1 3
შახტიორი (ბელარუსი) 2 1 0 1 3:2 3
პიუნეი (სომხეთი) 2 1 0 1 2:3 3
რუსეთი (იუნ.) 2 1 0 1 1:3 3

ფაროლავი დუბაიში ჭელიძით და სოჯავაძით?

ნახვარჯისტაფონი — ზესტაფონი U21 0:1

თემურ მახარაძის „ზესტაფონი“ თბილისში ემზადება და პირველი ტესტ-მატჩი გუშინწინ „ოლიმპის“ ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის ხელოვნურსაფარიან მოედანზე გამართა და საქართველოს U21-წლამდელთა ნაკრებთან სამი 30-წუთიანი ტაიმის ჯამში 0:1 წააგო. ერთადერთი გოლი 84-ე წუთზე „ამერის“ ფორვარდმა ბესიკ ჩიმაკაძემ შეაგდო.



გოლი ხოჯავა

ისე, რომელი იყო „ზესტაფონი“ და რომელი U21-წლამდელთა ნაკრები ძნელი გასარჩევია გახდა — კობა ჟორჯიაშვილის ნაკრებში ცხრა ფეროელმა ითამაშა, ხოლო თემურ მახარაძის გუნდში პირველად გამოჩნდა ახალწვეული, ექსლოკომოტიველი მეკარე გრიგოლ ჭანტურია.

„ზესტაფონი“ 31 იანვარს დუბაიში გაემგზავრება შეკრებაზე და იქ 14 თებერვლამდე დარჩება, სულ ცოტა, ოთხ ამხანაგურ მატჩსაც გამართავს და თბილისის „დინამოსთან“ სათასო მეოთხედფინალურ მოლონიერებულ შეხვედრაში — როგორც კლუბის ხელმძღვანელობამ გვითხრა, „ზესტაფონს“ რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც წააყვება დუბაიში.

ჩვენი ინფორმაციით, სავარაუდო შენაძენთა სიაში გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძისა და გოჩა ხოჯავას სახელებიც ფიგურირებს.

რაც შეეხება U21-წლამდელთა ნაკრებს, მათ „ზესტაფონთან“ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

ალაგიძე (თელიორაძე), მჭედლო-შვილი, გვამბია (ხუბარაშვილი), ხიდეშელი, ელბაქიძე, წულაძე (ძარია), ვ. ნუგ. ჭელიძე (ბენაშვილი), განუვრავა (დაუშვილი), წინამძღვრიშვილი (კახელიშვილი), ფიფია (ბუაღავა), ვოციირიძე (ხიმაკაძე).

შეგახსენებთ, ჟორჯიაშვილის ნაკრები 22 იანვარს პორტუგალიაში გაემგზავრება და ოთხთა ტურნირში ითამაშებს, სადაც მასპინძელთა გარდა, სლოვაკი და სლოვენელი U21-წლამდელნი მონაწილეობენ.

ილია ნანოზაშვილი

სიონი ახლებს იალტაში ნახავს



ხეიჩა ქასრაშვილი

ბიცია ამოძრავებს. მართალია, გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ მთავარი მწვრთნელი ხეიჩა ქასრაშვილი იმედოვნებს, რომ ახალწვეულებისა და სრულფასოვანი მოსამზადებელი ციკლის წყალობით, ჯერ კიდევ ივლისში აღებული ტემპის შენარჩუნებას შეძლებენ.

— შემადგენლობაში ბოლო ხანს არანაირი ცვლილება აღარ მომხდარა, მზადებასაც ჩვეულ რეჟიმში ვაგრძელებთ. გეკოლინებთ, შეკრების გავლას ვაპირებთ იალტაში, სადაც ორ კვირას დავყოფთ. უკრაინაში 21 ან 22 იანვარს გაემგზავრებით. არ არის გამორიცხული, გაემგზავრებოდნენ რამდენიმე ფეხბურთელი კიდევ დავიმატოთ — გვითხრა ბოლნისელთა დამრიგებელმა.

გიორგი ნოზაძე

ბრაზილიელს დღეს დაუთქვეს

„ბათუმა“ მეორე წრის წინ სერიოზულად მიჰყო ხელი შემადგენლობის გაძლიერებას და რვა ახალწვეულის შემატების მერე ორ ბრაზილიელსაც ელის. ბრაზილიელთა ტრანსფერზე ვიღაცხალავე მუშაობს და, როგორც შევიტყვეთ, სამხრეთამერიკელებს 21 იანვრისთვის დაუჯავშნა ავიაბილეთები.

ზღვისპირელები რამდენიმე დღის განმავლობაში დააკვირდებიან ბრაზილიელებს და თუ ოთარ გაბელიას დასტური იქნა, კონტრაქტსაც გაუფორმებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფირცხალავე ალბათ სხვა ქართულ კლუბებსაც შესთავაზებს ოკეანისგაღმელებს.

გიორგი ნოზაძე

ერთი თვეც არაა, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ახალი კაცია — გენერალური მდივანი უჩა უგულავა, რომელიც საფეხბურთო წრეებში სრულიად უცნობია. ყოველ შემთხვევაში, როცა ფედერაციაში ეს პოსტი ჩაიბარა, მის შესახებ ვერავინ ვერაფერს ამბობდა. ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს ინტერვიუ უჩა უგულავასთან, რომელმაც ფედერაციაში, როგორც იტყვიან, უკვე მიმოიხედა და გარკვეული გეგმებიც დაისახა...



გადარი კათილავას ფოტო

აუსილავალი არაა, მეღვინე იყო უჩა უგულავა ფეხბურთს დაუბეგობრდა

— აქამდე ფეხბურთთან თქვენი ურთიერთობა მხოლოდ რამდენიმე კლუბისთვის ფინანსური პროექტის შედეგით და „ბენდელას. თასზე“ GWS-ის გუნდში თამაშით შემოიფარგლებოდა. ამდენად, ფეხბურთის ფედერაციაში გენმდივნობა ალბათ აზრადაც არ უნდა მოგსვლოდათ. მაინც ვისი იდეა იყო ფედერაციაში თქვენი დასაქმება?

— თქვენი აზრით, ნებისმიერი სამსახურის ხელმძღვანელი უთუოდ იმავე დარგის სპეციალისტი უნდა იყოს? ვთქვათ, გაიხსნა ღვინის ქარხანა და იქ მმართველი სკიორდებათ. ალბათ დამეთანხმებით, რომ აუცილებელი არაა უთუოდ მეღვინე იყო, თავად წურავდე ყურძენს და ღვინოს აყენებდე. მთავარია, მართვა შეგეძლოს, გკონდეს ამის შესაბამისი განათლება და გამოცდილება. აქედან გამომდინარე, კითხვაზე ასე გიპასუხებთ: ჩანს, ამ ფედერაციას ჩემნაირი ადამიანი სჭირდებოდა. ბატონმა ნოდარ ახალკაცმა სხვას მე მაშჯობინა და დამირეკა. ისე კი, მას აქამდე პირადად არც ვიცნობდი.

— როგორი იყო თქვენი რეაქცია ამ შემთავაზებაზე?

— ძალიან მიყვარს ფეხბურთი, სხვათა შორის, ბავშვობაში ფეხბურთზეც დავდიოდი, კალათბურთზეც, ჩოგბურთზეც, ცურვაზეც, წყა-

ლბურთზეც და ძიუდოზეც ყველაზე მეტად სამთო თხილამურები და ფეხბურთი მიყვარს. აქედან გამომდინარე, შემთავაზება ძალიან მესიამოვნა, თუმცა მეც მქონდა ჩემი მოთხოვნები და პირობების შეთანხმების შემდეგ გადაწყვეტილებაც მივიღე.

— იოლად შეგეუთ საფეხბურთო სამყაროს?

— ფეხბურთში ბევრ ცნობილ სახესთან კარგი ურთიერთობა მაქვს და ჩემი აქ მოსვლით ალბათ ეს ურთიერთობები გადრამდებდა.

— ფედერაციისა და მთავრობის თანამშრომლობას როგორ უყურებთ? მით უმეტეს, კლაუს ტოპმოილერის ჩამოყვანაში სახელმწიფოს როლი უმნიშვნელო არაა...

— ფეხბურთი პოლიტიკური თვალსაზრისით ქვეყნისთვის ისეთი მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო რაღაც კუთხით ყოველთვის ცდილობს მის დახმარებას. რაც შეეხება ტოპმოილერის ჩამოყვანას, ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ფეხბურთის ფედერაცია დღეს არაა ისეთი ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებით განახორციელებს სასურველ პროექტებს. სწორედ მთავრობის ინიციატივა იყო, ფეხბურთის ფედერაციას დახმარებოდა.

— მენეჯმენტის მხრივ რა მღვ-

ომარეობა დაგხვდათ ფედერაციაში?

— იმედი მაქვს, რომ ორ-სამ თვეში ავაწყობთ ისეთ სტრუქტურას, რომელიც გამართულად მუშაობას შეძლებს. ვეცდებით, ნელ-ნელა მივაღწიოთ საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც სასურველია, ნებისმიერ ორგანიზაციაში იყოს.

ჩემი წინამორბედების მუშაობა კი ჩემი განსასჯელი არაა. ფაქტია, ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი.

— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ტოპმოილერის დანიშვნა რამდენად შეუწყობს ხელს სპონსორთა მოზიდვას?

— სპონსორების მოსაზიდად მეტი მარიფათის გამოჩენა გეჭირდება. ტოპმოილერის დანიშვნას ძალიან დიდი გამოხმაურება და შემთავაზებები მოჰყვა. ახლა ფეხბურთის განვითარების პროგრამას ვამზადებთ და აქედან გამომდინარე, გადაწყვეტთ, რა მიმართულება უნდა ავირჩიოთ სპონსორებთან დაკავშირებით. შეჩერებულია ის ხელშეკრულებებიც, რომლებიც წლეულს უნდა გაგვეგრძელებინა, რადგან ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის წილისყრას ველოდებით. ასე რომ, სპონსორებთან მოლაპარაკებებს თებერვლიდან დავიწყებთ.

ბურანდა ბურასაშვილი

არ მოკვდება მუტკო ახალკაცს პირსკიპტივამ დაელაპარაკება



ნოდარ ახალკაცი

„თანამშრომლობის თასი“ იარსებებს — ასეთი რამ თქვა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ. რუსები ამ ტურნირს ვერაფრით ელევიან და სამომავლოდ მასშტაბების გაზრდასაც აპირებენ.

— ტურნირის დასრულებისთანავე ესენგეს ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების პრეზიდენტებს შევხვდები და დაწვრილებით ვისაუბრებთ სამომავლო თანამშრომლობაზე. წლეულს ტურნირს ფიფამაც დაუჭირა მხარი და 100 ათასი დოლარი გადმოგვირიცხა, რაც უმნიშვნელო ამბავი სულაც არაა. ვეცდებით, გაისად ბულგარეთის, სერბეთის და ხორვატიის ჩემპიონებიც მოვიწვიოთ, რაც ტურნირის პრესტიჟზე დადებითად იმოქმედებს — განაცხადა მუტკომ.


შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გენმდივან უჩა უგულავასთან ერთად ახლა სწორედ მოსკოვშია და გუშინწინ ცეესკასა და თბილისის „დინამოს“ მატჩსაც დაესწრო; მოსკოვში არიან ფიფას თავი ზებ ბლატერი და ლეგენდარული მიშელ პლატინიცი.

აბას ზალაგაბერიძე



მას ყველაფერი აინტერესებს

ტოპი თბილისში მასკურსია დაბაბა



კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპიოლერი ბანკეტზე მიიპატიჟა. სუფრასთან გერმანელ მწვრთნელს გერმანისტი ლაშა ბაქრაძე გააცნეს. ბატონო ლაშას საფეხბურთო საზოგადოებაში გამოჩენა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გვეჩვენა და მას უპირველესად ამის თაობაზე დავეკითხეთ...

— მე მიმიწვიეს არა როგორც ფეხბურთის მოყვარული, არამედ, როგორც გერმანისტი — გვინდა, ბატონო ტოპიოლერს გარკვეული ინფორმაცია ჰქონდეს არა მხოლოდ ქართულ საფეხბურთო სამყაროზე, არამედ ზოგადად იმ ქვეყანასა და საზოგადოებაზე, სადაც მოუწევს საქმიანობა. შევპირდი, რომ მომდევნო ვიზიტისას თბილისის საფუძვლიანად დავათვალიერებინებ.

— რამდენადაა ინფორმირებული ტოპიოლერი ჩვენი ქვეყნის შესახებ?

— ამ მხრივ მისი დონე მაღალი ნამდვილად არ არის, მაგრამ საქართველოს შესახებ ყველაფერი აინტერესებს. რაც მთავარია, ეს ალალი ინტერესია და არა თავაზიანობის გამოვლენა.

— ჩვენში არსებობს გარკვეული სტერეოტიპი, რომ გერმანელები ცივი და ანგარიშაირი ხალხია...


— ბატონმა ტოპიოლერმა ჩემზე ძალიან ღია და უშუალო ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. თავაზიანი და საკმაოდ ერუდირებული პიროვნებაა.

— საინტერესოა, როგორია თქვენი დამოკიდებულება ფეხბურთისა და კონკრეტულად ტოპიოლერის მოწვევისადმი?

— ფეხბურთის და ზოგადად სპორტს ვუყურებ როგორც ერის თვითგამოხატვის ერთ-ერთ საშუალებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიომ საქართველო ამ სფეროშიც საუკეთესო კუთხით გაიცნოს. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების წარმატება ძალიან მნიშვნელოვანია და მონარული ვიქნები, თუ ბატონო ტოპიოლერთან ერთად მიაღწევს ამას.

გიორგი ნოზაძე

გერმანელი მწვრთნელი გვინდა — ადრე საქართველოს ნაკრებზე საუბრისას ქომაგებისგან ძალიან ხშირად გაიგონებდით. გუნდში გერმანულ დისციპლინას დაამყარებს, ამ ჩვენს ზარმაც ფეხბურთელებს სულის ამოხდამდე არბენინებს, „ფიზიკა“ ხომ ჩვენების აქილევსის ქუსლია — ეს იყო უმთავრესი არგუმენტები კამათისას. მოდით, უფრო ღრმად ჩავწვდეთ, რას ნიშნავს გერმანელი მწვრთნელი ზოგადად, რა სარგებელი ან რა სატკივარი მოუტანიათ მათ უცხოური ნაკრებებისთვის. და რადგან სარგებელი ძალიან ბევრია და სატკივარი ძალიან ცოტა, ესეც ხომ არ გვიკეთებს გულს?



ოტო რეზაგელი



ვინცრედ შეფერი

მიღიან, ნასულოზან, იმარჯვეზან

რას ნიშნავს უცხოეთში გერმანელი მწვრთნელი

გერმანელი მწვრთნელის პირველი უცხოური სანაკრებო დაქუცხვა 90-იანი წლების დანის ნაკრებში მოხდა, როცა ზებ პიონტეკმა ნამდვილი „დინამიტი“ შექმნა, თაობაც კარგი წამოუვიდა დანის, ელკიერ-ლაუდ-რუპლერბიუ-ოლსეს ბარე ორი ნაკრები ინატრებდა, მაგრამ იმაზე არავის უდავია, რომ დანია პიონტეკის გარეშე ასე ლაზათიანად ვერ იფეთქებდა. „ლაზათიანად“ იმიტომ დავამატეთ, რომ პიონტეკის ნაკრებმა მაშინ ლამაზი ფეხბურთით უფრო მიიზიდა ქომაგი, ვიდრე შედეგით, თუმცა შედეგიც ფანტასტიკური ჰქონდა და, თუ იქამდე საშუალო დონეს ჩამორჩენილი დანია 80-იანებიდან მოყოლებული, მუდამ ევროელიტის სიახლოვეს ბუდობს, ესეც პიონტეკის დამსახურება უნდა იყოს. ინერციულობა ფეხბურთში არცთუ იშვიათად გვხვდება.

...მაგრამ ბევრი შეგვეკამათება, დანიური ზღაპარი 20 წლის წინ იყო.

კი, ბატონო, მაგრამ მაშინ ბოლო ორ შესარჩევ ციკლს გადავხედოთ.

გეხსოვებათ, თოვლივით ქათქათა თეთრ-თმიანმა მწვრთნელმა ვინცრედ შეფერმა კამერუნს 2002 წელს აფრიკის ჩემპიონობაც მოაგვინა და კონფედერაციის თასის ფინალშიც ათამაშა, სადაც საფრანგეთთან დამატებით დროში წააგო — იმდროინდელ საფრანგეთთან ჭიდილი კი თითქმის შეუძლებელი იყო. ეგაა, შეფერმა კამერუნე 2002 წლის მუნდიალზე ვერ გააბრწყინა, თანამემამულეებთან მარცხმა ჯგუფში ჩატოვა, თუმცა ვინის გარეშე კამერუნელებმა ვეღარაფერს მიაღწიეს და ეს მუნდიალიც სანატრელი გაუხდათ — რა საკამართოა, რომ ამ

მწვრთნელმა როცა მილას ქვეყანაში დიდი წარმატებით იმუშავა.

ლოთარ მათეუსი უნგრეთში საქართველოს წარსული საფეხბურთო ღირსებებით ნაკლებ ქვეყანაში: ერთი შეხედვით, მაღარებმა სახიერო ვერაფერი მიიღეს, უნგრეთმა მუნდიალის შესარჩევ ჯგუფში შევადეთს და ხორვატიას პწკალი წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწია, ბულგარეთსაც ჩამორჩა და მეოთხე ადგილზე გასულმა ოდენ ისლანდიასა და ჯუჯა მალტას გაასწრო. მაგრამ მათეუსი რალაცნაირად უგულოდ მუშაობდა უნგრეთში, წამლაუწუმ მიწვევები ჰქონდა სხვადასხვა კლუბებიდან, თავადაც გამოთქვამდა წასვლის სურვილს და წავიდა კიდეც, თანაც, მათეუსის (როგორც მწვრთნელის) ავტორიტეტი ტოპიოლერისას როგორ უნდა შევადაროთ?!

ჰანს-პეტერ ბრიველი ბოლო ორი შესარჩევი ციკლია, საქართველოსთან „დაძმობილებულ“ ალბანეთს წვრთნის. „ალბანეთში საფეხბურთო მეურნეობა მოიკოჭლებს და ბევრი ისეთი რამის გაკეთება მიწვევს, რაც მთავარ მწვრთნელს არ ევალება“ — თქვა ერთხელ ბრიველმა და ხომ არ გეცნობთ საქართველოს მაგალითი? ბრვე გერმანელმა ალბანეთი ვერ ააყვავა, მაგრამ პროგრესი მაინც დაეტყო ნაკრებს და ასე რომ არ ყოფილიყო, ამდენ ხანს არც ამუშავებდნენ. „არწივებმა“ ორივე შესარჩევი საქართველოსთან გაატარეს და ორჯერვე ერთი საფეხურით გადაასწრეს, თუმცა ფინალურ ეტაპზე გამსვლელ ადგილებს სათოფეზეც არ გაეკარებინან.

შევთანხმდეთ: ბრიველმა ალბანეთი გარკვეულ დონეზე აშკარად წასწია წინ.

ერთადერთი გერმანელი მწვრთნელი, რომელმაც ბოლო წლებში უცხოურ ნაკრებში თავი შეირცხვინა, ბერტი ფოგოსია. იგი შოტლანდიის ნაკრებს ევრო 2004-ის შესარჩევ ციკლში ჩაუდგა სათავეში, მაგრამ ჯერ იყო, პანტაუნტით წაგებები დაიწყო, მერე ფარერის კუნძულებთან ფრედ ითამაშა და მაინც: ერთი შესარჩევითაც დაიტოვეს. მაგრამ ფოგოსმა ბოლომდე ვერ მიატანა — მალევე მოხსნეს.

საერთოდაც, ამ კაცმა შოტლანდიაში არცთუ კარგი სახელი დატოვა, არა მარტო როგორც მწვრთნელმა, არამედ პიროვნებადაც.

არის კიდევ ერთი გერმანელი სპეციალისტი — პორსტ ჰესე, რომელიც ბოლო 5 წელი მუშაობდა მალტაში, მაგრამ მალტა რაც იყო, იგივე დარჩა და ჰესეც, ალბათ, უამბიციოდ, „სხვაგან წასასვლელი არ მაქვს“ პრინციპით მუშაობდა კუნძულზე.

კი, ქართველებს გვიყვარს ასეთი ზედმეტი ჩამოფასებები — ფეხბურთში ყველა გვევლიაო, მაგრამ მოდით, მალტამდე მაინც ნუ დავიყვანთ თავს...

ან კი რა დიდი საკამათოა გერმანული მწვრთნელი სკოლის სიძლიერე, როცა მათ ნაკრებში 1950-1998 წლებში მხოლოდ 4 მწვრთნელი გამოიცივალა?!

და ბოლოს: განვებ არაფერი გვითქვამს ოტო რეზაგელის ბერძნულ სასწაულზე „მეფე ოტო“ ხომ საბერძნეთში ჩასვლამდეც დიდ მწვრთნელად ითვლებოდა და 2004-ში ევროჩემპიონობის მერე მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელადაც დაასახელეს...


ილია ნანოზაშვილი

თქვენი ინტერვიუ

კლაუს ტოპიოლერთან

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპიოლერი იქნება. კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვანოდოთ და პერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

ვისი სული გვსურს? ჩვენ ვეძებთ ვეპაროს

საქართველოს ნაკრებში უცხოელი მეკარის მონვევის თემა ახლა ისე აქტუალურია, როგორც არასდროს. ნოდარ ახალკაცის გერმანული ვიზიტის წინ საკითხის წამოწევამ ბუნებრივად დაბადა ვარაუდი, რომ ნატურალიზებული მეკარით საქართველოს ნაკრების გაძლიერებას ფედერაცია უმოკლეს ვადაში ეცდება.

გასაგები მიზეზების გამო, ძიების პროცესი ალბათ გერმანიიდან დაიწყება. რამდენად ფართოა ჩვენთვის მისაღებ მეკარეთა წრე? არც ისე.

გადავწყვიტეთ, მოგანოდოთ მოკლე ინფორმაცია იმ გერმანულ მეკარეთა შესახებ, რომელთა კანდიდატურებიც შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს.

მარტივი გათვლით, 20-22 წლის ბუნდესლიგელი მეკარე, რომელსაც ჯერაც არ დაუკარგავს გერმანიის ეროვნულ გუნდში მოხვედრის შანსი, ქართულ წინადადებას ალბათ არ დათანხმდება. ამას დაემატოთ ისინი, რომლებსაც სხვადასხვა დროს გერმანიის ეროვნულ ან რომელიმე ასაკობრივ ნაკრებში უთამაშიათ და საძიებელთა წრე დაახლოებით ორ ათეულამდე დადის.

მაშ ასე: ქვემოთ დასახელებულთაგან ერთ-ერთი რამდენიმე თვეში შესაძლოა ქართული მაისურით შეიმოსოს...



მარტინ პეჩენკინი

შტეფან ვესტერი

27 წლის. სიმაღლე 189 სმ
მეოთხე წელია, „ჰამბურგის“ ღირსებას იცავს. შესაბამისად, კლავს ტოპმოლეუს ამომწურავი ინფორმაცია გააჩნია მისი შესაძლებლობების შესახებ. მიმდინარე სეზონში შტეფან ვესტერმა 20 მატჩი ჩაატარა — 13 ბუნდესლიგაში, 2 ქვეყნის თასზე, 5 კი უეფას თასზე.

იმასაც გეტყვით, რომ ვესტერს „ჰამბურგთან“ კონტრაქტი 2006 წლის 1 მარტს უმთავრდება და საქართველოს ნაკრების მეკარედ მონათვლა ბუნებრივად გაზრდის მისდამი ინტერესს საფეხბურთო ბაზარზე.

მარტინ პიკენჰაიანი

34 წლის, სიმაღლე 186 სმ
მართალია, ეს მეკარე ამჟამად ჰოლანდიურ „ჰერაკლესში“ თამაშობს, მაგრამ მისი სახელი გერმანიაში კარგადაა ცნობილი. პიკენჰაიანი ბუნდესლიგაში 214 მატჩი ჩაუტარებია და ყველაზე მთავარი: წინა სეზონში იგი კლავს ტოპმოლეურის შეგირდი იყო „ჰამბურგში“. ისე, თუ საქმე არჩევანზე მიდგა, 34 წლის მეკარის გადმოზიდვა მთლად მისაღები ალბათ არ უნდა იყოს...

საშა პირსშაინი

25 წლის. სიმაღლე 196 სმ
„ჰამბურგში“ ამ სეზონის წინ გადავიდა რეგიონალური „როტვაისიდან“. ვესტერის დუბლიორად კი ითვლება, თუმცა მიმდინარე სეზონში უკვე მოასწრო პირველი ბუნდესლიგის ოთხ, ქვეყნის თასის და უეფას თასის თითო შეხვედრაში მონაწილეობა.

პრისტინ ვილერი

30 წლის. სიმაღლე 180 სმ
მეკარის კვალობაზე მაღალი არ არის და ამის კომპენსირებას გამოცდილებითა და ხაზზე კარგი თამაშით აღწევს. ბერლინის „ჰერტას“ ძირითადი შემადგენლობის წევრია — მიმდინარე სეზონში პირველი ბუნდესლიგის 14, გერმანიის თასის ორ და უეფას თასის 6 შეხვედრაში დაიცვა „ჰერტას“ კარი.

თადარიგო მეკარე. ამავე კლუბის აღზრდილია და მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე სეზონია, ძირითად გუნდში გადაიყვანეს, დღემდე ჩრდილში უწევს ყოფნა.

მიმდინარე სეზონში „შალკეს“ კარი ორჯერ დაიცვა.

ჯერარდ ტრაპელი

27 წლის. სიმაღლე 190 სმ
„ჰერტასში“ ფილერის შემცვლელია, იქამდე კი „ჰანოვერის“ ღირსებას იცავდა. მიმდინარე სეზონში პირველი ბუნდესლიგის სამ და გერმანიის თასის ერთ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

დირკ კაინენი

35 წლის. სიმაღლე 188 სმ
საკმაოდ ასაკოვანია და „შტუტგარტში“ სათადარიგოობას შეეგუა. სანაკრებო პერსპექტივაზე ნამდვილად არ იტყვოდა უარს, მით უმეტეს, კლუბში მიმდინარე სეზონში მხოლოდ 3-ჯერ ანდეს ძირითადში ადგილი — ერთხელ ბუნდესლიგის და ორჯერ უეფას თასის შეხვედრაში.

გაორგ კონი

33 წლის. სიმაღლე 195 სმ
„დუისბურგის“ ძირითადი გოლკიპერია, სადაც მარშან „კოტბუსიდან“ გადავიდა, კიდევ ერთი სეზონის წინ კი „კაიზერსლაუტერნის“ ღირსებას იცავდა. მიმდინარე სეზონში „დუისბურგის“ კარი ჩემპიონატის 17 და გერმანიის თასის ერთ შეხვედრაში დაიცვა.

საჰნე ბუპერტი

32 წლის. სიმაღლე 195 სმ
ორი წლის წინ ბერლინის „უნიონიდან“ გადავიდა „დუისბურგში“ და იქ მეორე მეკარედ ითვლება. მიმდინარე სეზონში ერთხელ ბუნდესლიგის და ერთხელაც ქვეყნის თასის შეხვედრაში ანდეს კარი.



შტეფან ვესტერი

ონში „დუისბურგის“ კარი ჩემპიონატის 17 და გერმანიის თასის ერთ შეხვედრაში დაიცვა.

ლიმო ვახე

32 წლის. სიმაღლე 194 სმ
უარესად გამოცდილი მეკარეა. მიმდინარე სეზონში 17-ჯერ პირველი ბუნდესლიგის, სამჯერ ქვეყნის თასის და ორჯერ უეფას თასის შეხვედრაში დაიცვა „მაინცის“ ღირსება. ვიახტერის დარად, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ვარიანტი იქნებოდა ტოპმოლეურისთვის.

პრისტინ ვიტკოლო

25 წლის. სიმაღლე 190 სმ
მეხუთე წელია, „მაინცის“ ღირსებას იცავს, მაგრამ სათადარიგოს როლით უწევს დაკმაყოფილება. ამ სეზონში გერმანიის თასზე ერთადერთ შეხვედრაში ანდეს ადგილი ძირითადში.

მათიას კაინი

33 წლის. სიმაღლე 188 სმ
მეხუთე წელია, „არმინიაში“ თამაშობს. ძირითადი შემადგენლობის წევრია და პირველი წრის 17-ვე შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა. ამას გარდა, გერმანიის თასის ორ შეხვედრაშიც დაიცვა კლუბის ღირსება.

მარკუს არიონი

26 წლის. სიმაღლე 187 სმ
ფრანკფურტის „აინტრახტის“ მეორე მეკარეა და ამ სეზონში ოდენ სამჯერ მიეცა მოედანზე გასვლის

შესაძლებლობა.

დანიელ კლევერი

28 წლის. სიმაღლე 192 სმ
„ნიურნბერგის“ მეორე მეკარეა. წინა სეზონში „ჰანზას“ ღირსებას იცავდა, ახალ გუნდს კი გერმანიის თასის ორ შეხვედრაშია დაეხმარა.

ალექსანდრ ბადე

35 წლის. სიმაღლე 196 სმ
ჩვენთვის კარგად ნაცნობი მეკარე, რომლის საქართველოს ნაკრებში მოწვევაზეც რამდენიმე წლის წინ იყო ლაპარაკი. „კიოლნის“ სათადარიგო მეკარეა და ამ სეზონში ოფიციალურ შეხვედრაში მოედანზე არ გასულა.

სათამაშო პრაქტიკის არქონა იქით იყოს და უკვე საკმაოდ ასაკოვანიცაა.

მისაელ მელკა

27 წლის. სიმაღლე 195 სმ
„მიონხენგლადბახის“ სათადარიგო მეკარეა. ძირითად გუნდში დუბლებიდან წინა ზაფხულს დააწინაურეს და პირველ ბუნდესლიგაში ოთხჯერ მისცეს კარის დაცვის შანსი.

დარიუს კამპა

28 წლის. სიმაღლე 185 სმ
„მიონხენგლადბახის“ მესამე მეკარეა და მიმდინარე სეზონში ერთადერთ ბუნდესლიგურ შეხვედრაში ითამაშა.

პრისტინ ვანდერი

25 წლის. სიმაღლე 195 სმ
„ვერდერის“ მესამე მეკარეა. ამ კლუბში მარშან გადავიდა იჯარით „ბოხუმიდან“ და სეზონის დასრულების შემდეგ უკანვე დაბრუნდება.

ოქროსფერი ბრინჯაო

ცირეპიკამ სეზონი ჯარჯი ზვიადაურის კლავით გახსნა



ქართველმა ძიუდოისტებმა 2006 წლის სეზონი იაპონური ბრინჯაოთი გახსნეს. ტოკიოში, ძიუდო კანოს ორდღიან მემორიალზე, შოთა ხაბარელის რვაკაციანი გუნდიდან კვარცხლბეკს მხოლოდ ირაკლი ცირეპიკემ (90 კგ) უწია.



მარჯვნივ: ირაკლი ცირეპიკე

ტურნირის სტატისტიკის ინგლისურენოვან ინტერნეტ-გვერდებზე მოძიება არცთუ იოლი აღმოჩნდა და დეტალების დასაზუსტებლად ტოკიოში მყოფ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ მია ნაცვლიშვილს შევეხმიანეთ...

— ძიუდო კანოს მემორიალი ყოველთვის უძლიერეს შემადგენლობას იკრებს და გამონაკლისი არც ამჯერად ყოფილა. ორმოცი ქვეყნის ნაკრები მოგროვდა და მშვენიერი ჭიდაობებიც გამოვიდა.

— ქართველების ჭიდაობით თუ ღარიბთ კმაყოფილი? — მთლიანად გუნდი ნორმალურად გამოვიდა. კონკრეტულად კი ზოგიერთ კმაყოფილი ვარ, ზოგიერთ — უკმაყოფილო.

— საინტერესოა თქვენი აზრი ღარიბთ კმაყოფილი გამოსვლაზე. — კილოგრამში გამობრძმედილი სპორტსმენი იაპონიაში ერთი წონით მაღლა გამოვიდა და ეგებ სამომავლოდ სულაც 73-ში დამკვიდრება სცადოს.

— ჩვენი ნაკრები ტოკიოში გადახალისებული შემადგენლობით ჩავიდა. ხომ არ ჯობდა, აქედანვე ძირითად კანდიდატებზე გაკეთებულიყო აქცენტი?

— რაღა კითხვა უნდა, ყველაზე კმაყოფილი ცირეპიკით იქნებით... — საოცრად იჭიდავა. ალაღად გამბობ, რომ არა მსაჯების უაზრო შეცდომა, ბრინჯაოზე მეტს იმსახურებდა. უზბეკი მეტოქე სუფთა გაზარზე დასცა. მთავარმა მსაჯმა დააფიქსირა კიდევ, მაგრამ არც ერთმა გვერდითმა ილეუი უმცირესი ქულითაც კი არ შეაფასა. მოგეხსენებათ, ტურნირის ჩვენი ოპერატორიც იღებდა და ვიდეოჩანაწერშიც კარგად ჩანს უსამართლობა. არადა, ირაკლიმ უძლიერესი ძიუდოისტები დატოვა უმედლოდ. ორი მასპინძელი გაამწარა, ბრინჯაოსთვის უკრაინელ გრეკოვს აჯობა, სულ თავიდან კი თვით ჯარჯი ზვიადაური დაამარცხა.

— აჯობებს, ამ საკითხზე კომენტარი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გააკეთოს. მე მხოლოდ იმას გეტყვი, რომ მარგოშვილი ტოკიოში ქართულ გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო და მედლაძე სულ ცოტა დააკლდა.

— ახალგაზრდული გუნდის გამოცდა, ჩემი აზრით, ძალიან სწორი ნაბიჯი იყო. რაც არ უნდა იყოს, იაპონური ტურნირი მაინც მოსამზადებელი ეტაპის ერთი ნაწილია. ასევე მოიქცნენ სხვა გამოცდილი ნაკრებები. ჩვენც და მათაც გამოუცდელი ძიუდოისტების გვერდით რამდენიმე გამოცდილიც გვყავდა. ამრიგად, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონ-პრიზორების ნაკლებობა მაინც არ იგრძნობოდა. ამას დაუმატეთ თითო წონაში ოთხი იაპონელი, ორი კორეელი და მიხედვით, რამხელა კონკურენცია იყო.

— გამოუცდელ ახალგაზრდებზე რას იტყვით? — ბეთქელ შუკვანს გამოვარჩევდი. — ტურნირი მორჩა, წინ კი ერთობლივი წვრთნებია. მასში მონაწილეობას მარტო ჩვენები და იაპონელები მიიღებენ? — რამდენიმედღიან კემპში რამდენიმე ნაკრები ჩაერთვება. მათ შორის ჩვენიც, თუმც ბევრი სხვა დელეგაციისგან განსხვავებით, მასპინძლებთან ბრწყინვალე ურთიერთობა გვაქვს.

— წასვლის წინ პრესკონფერენციაზე განაცხადეთ, რომ იაპონიის ძიუდოს ფედერაციის შეფებთან საქმიანი საუბრების გამართვასაც აპირებდით.

— სწორედ ეს მოლაპარაკებები იყო ჩვენი ფედერაციის ლამის მთელი ხელმძღვანელობის ტოკიოში წამოსვლის მიზეზი. განსაკუთრებული ავტორიტეტით კი ვიცე-პრეზიდენტი შოთა ჩოჩიშვილი სარგებლობს. წარმოიდგინეთ, ტაქსის მძღოლმაც კი იცნო ქუჩაში. რაც



100-კილოგრამიანთა ფინალი იაპონური იყო: გამარჯვებულმა ტაკამასა ანაიმ სატოში იში ტატამს მოსწყვიტა

მძღვანელთან ბრწყინვალე ურთიერთობა გვაქვს.

შეხება საქმიან შეხვედრებს, ყველაფერი კარგადაა. ბევრი საინტერესო და სასარგებლო იდეაც დაგვეგმეთ, მათ შორის პერსპექტიული ქართველი ბავშვების აქაურ ძიუდოს უნივერსიტეტში სტაჟირება, ახალგაზრდების გაცვლითი პროგრამების ამოქმედება და სხვა. უკვე გადაწყვეტილია, რომ 4-5 თებერვალს თბილისის ტურნირზე იაპონელები თითქმის უძლიერესი შემადგენლობით გვეწვევიან, დელეგაციაში კი იასუჰირო იამასიტაც იქნება.

ოთარ მაღლაკლიძე



90-კილოგრამიანთა კვარცხლბეკი: ირაკლი ცირეპიკემ (მარჯვნივ, კიდებზე) ამ სეზონში პირველი საერთაშორისო მედალი მოიპოვა

ქიპორი პანო 2006. ტოკიო, 14-15 იანვარი

60 კგ
1 ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია); 2 ნამ სუკ ჩო (ს. კორეა); 3 კაუზო იონეტომი (იაპონია); 3 ტაკეში ოგაგა (იაპონია); 13 ბაიშილ შუპჰანი (საქართველო); 17 ვახტანგ ხოსიტაშვილი (საქართველო)

66 კგ
1 შიროუკი ავიმოტო (იაპონია); 2 მასატო უჩიშიბა (იაპონია); 3 ხასაბატარ ცაგანბატარი (მონღოლეთი); 3 ფეი მინ ლი (ს. კორეა); 7 შინდინ ხოშიზური (საქართველო)

73 კგ
1 ფრანკო ბრიერი (იტალია); 2 ვონ ში ლი (ს. კორეა); 3 იუსუკი კანამარუ (იაპონია); 3 მასაპირო ტაკამაცუ (იაპონია); 5 დაბით მარგოშვილი (საქართველო)

81 კგ
1 შიროტაკა კატო (იაპონია); 2 და ნამ სონგი (ს. კორეა); 3 ტაკაში ონო (იაპონია); 3 მოტა კავაძარა (იაპონია); 17 საბა ბავაშვილი (საქართველო)

90 კგ
1 ში ტი ბენგი (ს. კორეა); 2 სუნ ვო პარკი (ს. კორეა); 3 ირაპკლი შირაპკიძე (საქართველო); 3 ანდრეი კაზუსიონაკი (ბელარუსი)

100 კგ
1 ტაკამასა ანაი (იაპონია); 2 სატოში იში (იაპონია); 3 სუნგ ჰო იანგი (ს. კორეა); 3 დიმიტრი პეტერსი (გერმანია)


+ 100 კგ
1 იოში ტაკაი (იაპონია); 2 შიროუკი ტაკამაში (იაპონია); 3 ტამერლან ტმენოვი (რუსეთი); 3 შიდევაზუ შოდა (იაპონია); 9 ლაშა გუგუშვიანი (საქართველო); 9 ბიორბი შიხილაშვილი (საქართველო)

კოკაიმ რუსუბის გორა გადაგორა

ამ უძველესი „შავმა ზღვამ“ სუმოს უმაღლეს დივიზიონ მაკუტში მოგება-წაგებათა რიგრიგობითი მონაცვლეობა ისე დაარღვია, ჩვენ რომ გავიხარებოდით. წოდების მიხედვით გამორჩეული დიდკაცების მძლეველმა ქართველმა, როგორც იქნა, რანგით დაბლა მყოფებსაც მოუგო და ორქულიანი დაღებით ბალანსი შეიქმნა.

(113 კგ) და მძიმე მეტოქეებთან ფონს გასვლას ტექნიკის ხარჯზე ცდილობს. დღეს მეცხრე ტურია და ჩვენებს 175-კილოგრამიან ივაკიამასთან მოუწვევს დაჭიდება. თუ მოიგო, სასურველ მიზანს — კომუსუბის წოდებას კიდევ უფრო მიუახლოვდება. ჯერჯერობით კი კოკაი დასავლეთის მეორე მაეგაშირაა. რაც შეეხებათ ლიდერებს, ფინიშამდე ერთი კვირით ადრე უდანაკარგონი მხოლოდ ოძეკი ტორიაძე და აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა ხაკუტორიკი არიან. ოითო მარცხი აქვთ იოკოძუნა ასასიორუსა და დასავლეთის მეთოთხმეტე მაეგაშირა ტოკიკუმის.

ოთარ მაღლაკლიძე



ითაგაუხეთ და გახსოვდეთ მერის ბაღი მიხეილ შორჭიას და ზურაბ საკანდელიძეს მასპინძლობს

დღეს კალათბურთის გამოღვივების დღეა — სამობა-საახალწლო არდადეგების შემდეგ ვერის ბაღის ფიცარნაგზე კვლავ შეერთდებიან ქართული გუნდები.

ისე, ეს გამოღვივება უჩვეულოდ ნაადრევი გამოვიდა. აქამდე ახალი წელი რომ შემობივებდა, კარგა ხანს გვიწევდა კალათბურთის ლოდინი, თუმც, რაც ფედერაციამ ოფიციალური ტურნირების ოდენობა გაზარდა, ქართველ ქომაგს მოსაწყენად აღარ სცაღია.

ლულუ დადიანის მემორიალი უკვე კარგა ხნის დამკვიდრებულია ჩვენში და ამიერიდან მიხეილ ქორჭიასა და ზურაბ საკანდელიძის ხსოვნის ტურნირიც ტრადიციული გახდება. დღეს სწორედ ამ ორი დიდი ქართველი კალათბურთელის მემორიალი იწყება ვერის ბაღში, რომლის გამარჯვებულიც ოთხი დღის თავზე, 20 იანვარს გამოვლინდება.


ამ ტურნირის დიდი მემორიალური მნიშვნელობა აქვს და ამავედროულად ზედგამოჭრილია უშუალოდ კლუბებისთვის. სახაშრო შესვენებისას გუნდებში გარკვეული ცვლილებები მოხდა, ზოგმა კარგი შეკრება გააარა, ზოგმა ცუდი და ყველაფერ ამის შედეგს ქორჭია-საკანდელიძის ტურნირმა უნდა გასცეს პასუხი.

ეს ტურნირი კარგი მოსამზადებელი საშუალებაა კარსმომდგარი სათასო ჯახების წინ. მოგეხსენებათ, 29 იანვარს საქართველოს თასის გათამაშება დაიწყება, რომელიც ასევე ოთხდღიანი ტურნირია და მისი მოგება გაცილებით მნიშვნელოვანია ქართული გუნდებისთვის. გათამაშების ფორმატი ასეთია: რვა გუნდი ორ ჯგუფშია, გაყოფილი და ერთი წრის შემდეგ საუკეთესო შედეგის მქონენი ფინალში შეერთდებიან ერთმანეთს. გუნდები ჯგუფებში ევრეთ წოდებული „მედიის“ პრინციპით განაწილდნენ. ანუ ერთგუნდი ჩემპიონატის ცხრილში 1-3-5-7 ადგილებზე მყოფებმა A ჯგუფი შეადგინეს, 2-4-6-8-ზე გასულებმა კი — B.

რა გამოვიდა? „ოსუ-ნიკორა“, „აზოტი“, „დინამო“ და „ქუთაისი“ ერთად მოხვდნენ, მეორე ჯგუფი კი „ავიამშენმა“, სსუ-მ, „მაკაბი“ და სსუ-მ შეადგინეს.

დღეს, 12 საათიდან დაღამებამდე ვერის ბაღში კალათბურთია. პირველ ტურში ეს წყვილები ითამაშებენ: „ავიამშენი“ — სსუ, სსუ — „მაკაბი“, „ოსუ-ნიკორა“ — „ქუთაისი“, „აზოტი“ — „დინამო“.

ირაკლი პირტაია



მურამ დოლიძე-სამშენილის ფოტოები



ჯა-კო — სპორტის რადიო

ჯა-კო — ასე ერქმევა ახალ რადიოსადგურს, რომელიც FM 96,3 ტალღაზე დღეიდან გავა ეთერში. ახალი, ვიქტი, მაგრამ უფრო მეტი დაკონკრეტება საჭირო. ეს რადიო თავისთავად ახალია, მაგრამ ამჟამად დროულად ისაა პირველი, რომელიც მთლიანად სპორტს დაეთმობა.

როგორც ამ რადიოს სულიწამდგმელი, ცნობილი ჟურნალისტი ჯამლეტ ხუხაშვილი ამბობს, ესაა პირველი შემთხვევა პოსტსაბჭოურ სივრცეში, როცა რადიო-ტალღა მთლიანად სპორტს ეთმობა.

ბუნებრივია, საინტერესოა, რას ნიშნავს ამ რადიოს სახელწოდება. ჯა-კო გახლავთ სახელებისგან — ჯამლეთი და კოტე — შემდგარი აბრევიატურა. ცნობილ მსახიობს და სპორტულ კომენტატორს, აწ განსვენებულ კოტე მანარაძეს სპორტული რადიოს შექმნის იდეა

35 წლის წინ დაებადა. მიზეზთა გამო, მან ვერ შეძლო ამ იდეის განხორციელება და აი, დღეს, ჯამლეტ ხუხაშვილის მეცადინეობით კოტე მანარაძის სურვილი ხორცს იხამს.

ჯა-კოს პრეზენტაცია გუშინ სპორტის სასახლეში მოეწყო, სადაც ეს რადიოსადგური დაიდებს ბინას. აქ იმუშავენ 22 ჟურნალისტი, ხოლო როგორც ხუხაშვილი ამბობს, ყველა სპორტული საინფორმაციო საშუალების წარმომადგენლები ითანამშრომლებენ ჯა-კოსთან.

რითაც ყველაზე მეტად იწონებენ თავს ჯა-კოს თანამშრომლები, ისაა, რომ ისინი 24 საათის განმავლობაში იქნებიან ეთერში და ქართული სპორტის ავ-კარგს ამომწურავად გააშუქებენ.

ირაკლი პირტაია

გვიგ ან ზემს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 13-29 იანვარი

ვინ ამოუღებს კბილს სტოგაპოლოგს?

1 ტური

- შპრიარ მამელიაროვი (აზერბაიჯანი) 0,5:0,5 ეტიენ ბაკო (საფრანგეთი)
- სერგეი კარიაკინი (უკრაინა) 0:1 ვიშენათან ანანდი (ინდოეთი)
- ვესლინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 1:0 გატა კამსკი (აშშ)
- ბორის გელფანდი (ისრაელი) 0,5:0,5 პეტერ ლეო (უნგრეთი)
- ლუკ ვან ველი (პოლანდია) 0,5:0,5 ივან სოკოლოვი (პოლანია)
- ლევონ არონიანი (სომხეთი) 0:1 ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)
- სერგეი ტივიაკოვი (პოლანდია) 0,5:0,5 მაიკ ადამსი (ინგლისი)

ჰოლანდიაში ციქნა ქალაქ ვეიკ ან ზეეში მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სუპერტურ-

ნირი დაიწყო. თამაშები ერთდროულად სამ A, B და C ჯგუფებში მიმდინარეობს.

მთავარი ყურადღება A ჯგუფისკენა მიყრდნობილი, სადაც მსოფლიოს საუკეთესო დიდოსტატები გამოდიან და სიძლიერით მე-19 კატეგორიისაა. B ჯგუფში თამაშობს ქართველი მოჭადრაკე ბაადურ ჯობავა, რომელიც რეიტინგის მიხედვით მეცხრე ადგილზეა განთავსებული.

სუპერტურნირის მოგებას მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს ბულგარულ ვესელინ ტოპალოვს უწინასწარმეტყველებენ. მან შარშან ვეიკ ან ზეეს გარდა თითქმის ყველა შეჯიბრში იმარჯვა, ფიდეს რეიტინგში 2800-იან ზღვარს გადააბიჯა და პოზიციების დათმობას სულაც არ აპირებს. შარშან ბულგარელი სტომატოლოგი აქ მესამეობას დასჯერდა და ახლა მოგებაზე 3,2 კოე-

NBA რეპუარული ჩემპიონატი

13 იანვარი

ნიუ იორკი 105:94 ატლანტა
ნიუ იორკი: მარბერი (19), რობინსონი (17), ლი (4 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (6), კარი (15); კროუფორდი (23), ფრაი (12), ტილორი (7), როუზი (2), ვუდსი ატლანტა: აივი (2), ჯონსონი (19), სმიტი (9), პარინგტონი (18), ფარუკია (39 წუთი, 18 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა); ჩილდრესი (16), უილიამსი (5), ლუ (5), ბატისტა (2)

მინესოტა 103:89 დენვერი
მინესოტა: გარნეტი (31 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი), შერბიაკი (28), ცმბიტიშვილი (2 წუთი, 1 მოხსნა)
დენვერი: ენტონი (21), მარტინი (14), მილერი (14)

ინდიანა 85:94 ვაშინგტონი
ინდიანა: ონილი (20), ჯონსი (14)
ვაშინგტონი: არენსი (37), ბატლერი (24)

შარლოტი 102:103 მილუოკი
შარლოტი: ვოლესი (21 ქულა, 15 მოხსნა, 8 ჩაჭრა, 4 პასი, 4 დაფარება), ფელტონი (19), ბოგანსი (16)
მილუოკი: რედი (26), საიმონსი (20), ბოგუტი (18 ქულა, 17 მოხსნა), მაღუა (15 ქულა, 11 მოხსნა)

ფილადელფია 125:124 ბოსტონი
ბოსტონი: აივერსონი (33 ქულა, 10 პასი), ვებერი (31 ქულა, 13 მოხსნა), დალემბერტი (20 ქულა, 11 მოხსნა, 7 დაფარება)

ბოსტონი 99:99
ბოსტონი: დევისი (33), ბლუნტი (27 ქულა, 10 მოხსნა), პირსი (18 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა, 4 ჩაჭრა), ვესტი (17)
ფილადელფია 81:69 ნიუ ჯერსი
ნიუ ჯერსი: მილერი (18 ქულა, 16 მოხსნა), ჯექსონი (16)

ნიუ ჯერსი 90:76 საბარამინტონი
ნიუ ჯერსი: ვესტი (19), ბატლერი (16)
საბარამინტონი: მილერი (18), გარსია (17)
პორტლანდი 113:108 ორლანდო
პორტლანდი: დიქსონი (25), ტელფორდი (21), რედოლფი (19), ბლეიკი (17)
ორლანდო: თურქოღლუ (27), პოვარდი (20 ქულა, 13 მოხსნა), ნელსონი (19 ქულა, 13 პასი)

სიეტლი 104:117 მინიასოტი
სიეტლი: ლუისი (33), რიდნორი (21)
მინიასოტი: უილიამსი (19), პოუზი (19), ონილი (16), ვეიდი (15 ქულა, 14 პასი, 10 მოხსნა), უოლვერი (15)

14 იანვარი

ატლანტა 106:114 ვაშინგტონი
ატლანტა: აივი (2), ჯონსონი (23 ქულა, 11 მოხსნა), სმიტი (9), პარინგტონი (2), ფარუკია (33 წუთი, 15 ქულა, 3 მოხსნა); სტუდემიერი (21), ჩილდრესი (17 ქულა, 12 მოხსნა), უილიამსი (7), ედვარდსი, ბატისტა
ვაშინგტონი: არენსი (33), ჯეფერსონი (1), ბატლერი (23), ჯემისონი (23), პეიგუდი (10); დანიელსი (18), ტილორი (3), ბუი (2), რუფინი (1), ტომასი, ბლეტი, სტორი

დეტროიტი 114:91 შარლოტი
დეტროიტი: მაგილტონი (19), ევანსი



ზაზა ფაჩულია ვაშინგტონელებს ბოლომდე ეთამაშა

(18), მაკდაიესი (16), პრინსი (16)
შარლოტი: ბრუენი (18), ვოლესი (14)
ჩიკაგო 89:91 ინდიანა
ჩიკაგო: ნოჩიონი (15), სონგაია (14)
ინდიანა: ჯექსონი (29)

მილუოკი 93:100 დენვერი
მილუოკი: რედი (25), საიმონსი (15)
დენვერი: ენტონი (38), ბოკინსი (21), მილერი (18 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)
ჰიუსტონი 80:86 ნიუ ორლეანი
ჰიუსტონი: პოვარდი (22 ქულა, 10 მოხსნა), პედი (18), ვესლი (18)
ნიუ ორლეანი: პოლი (17), მესონი (16)

დალასი 110:77 ნიუ ჯერსი
დალასი: პოვარდი (29), ვან პორნი (23), ნოვიცი (16)
ნიუ ჯერსი: კიდი (19), კარტერი (17)
სან ანტონიო 80:79 მემფისი
სან ანტონიო: ჟინობილი (20), დანკანი (19 ქულა, 13 მოხსნა)
მემფისი: გასოლი (26), ჯექსონი (19), ჯონსი (16 ქულა, 10 მოხსნა)

იუტა 94:100 მინიასოტი
იუტა: კირილენკო (25), ოქური (20 ქულა, 14 მოხსნა)
მინიასოტი: ვეიდი (31 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი, 4 ჩაჭრა), პოუზი (17)

ფინიქსი 116:106 კლივლენდი
ფინიქსი: მარინი (25 ქულა, 12 მოხსნა), ბელი (23), ნემი (20 ქულა, 15 პასი), დიუ (18)
